განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

წარმოდგენილი ცვლილებებით, განისაზღვრება სავაჭრო ობიექტის საკომისიოს ზედა ზღვარი, სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკების ან/და ასეთი კომერციული ბანკის ჯგუფში შემავალ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისთვის.

საგადახდო მომსახურების მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, ზუსტდება გადახდის ოპერაციის განხორციელებამდე გასამჟღავნებელი ინფორმაციის ჩამონათვალი: საგადახდო ანგარიშის ნომერი, ნაშთი, ვალუტის შესახებ ინფორმაცია და გადახდის ინიციირებისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია. საგადახდო მომსახურების პროვაიდერებისთვის სავალდებულო ხდება რომ არადისკრიმინაციული მიდგომა გამოიყენოს ამ ოპერაციებთან მიმართებაში. ცვლილებებით, საფინანსო სექტორში კონკურენციის ხელშესაწყობად და სფეროს შემდგომი განვითარებისთვის ნათლად განისაზღვრება ეროვნული ბანკის უფლებამოსილება დაადგინოს სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ან გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსის მქონე საგადახდო სისტემის ფარგლებში გაწეული მომსახურების საკომისიო ან/და მისი დაანგარიშების წესი.

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, ეროვნული ბანკი, საზოგადოების

ნდობის, საგადახდო სისტემის, ფინანსური სისტემის სტაბილურობის შესანარჩუნებლად ან/და საგადახდო სისტემის სოციალური ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით უფლებამოსილია საგადახდო სისტემას მიანიჭოს მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსი და განსაზღვროს შესაბამისი კრიტერიუმები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 3 ნოემბრის №298/04 ბრძანებით „მნიშვნელოვანი სისტემის ქვეკატეგორიების განსაზღვრისა და საგადახდო სისტემისთვის მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრულია მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ქვეკატეგორიები: სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემა და გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემა. ამავე წესითაა განსაზღვრული ის კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც საგადახდო სისტემას მიენიჭება ესა თუ ის სტატუსი.

სისტემურად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსი ენიჭება საგადახდო სისტემას, რომელსაც ჰყავს ორი ან მეტი მონაწილე და დაკმაყოფილებულია შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი:

- საგადახდო სისტემაში დღიური საშუალო ბრუნვა აღემატება 200 მლნ ლარს;
- საგადახდო სისტემაში ხორციელდება ლარით შესრულებული უნაღდო საცალო გადახდების საერთო თანხის 75%-ზე მეტი;
- საგადახდო სისტემა გამოიყენება სხვა საგადახდო სისტემების (ფულადი სახსრების საგადახდო სისტემების, ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემების, კლირინგის სისტემების) ანგარიშსწორებისათვის.

გამორჩეულად მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის სტატუსი ენიჭება საგადახდო სისტემას, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთი:

- საგადახდო სისტემაში წლის განმავლობაში განხორციელებული ტრანზაქციების საშუალო დღიური თანხობრივი ბრუნვა

აღემატება ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის შესაბამისი მაჩვენებლის 10%-ს;

- შესაბამისი ბაზრის სეგმენტზე საგადახდო სისტემაში განხორციელებული გადახდების წილი აღემატება 25%-ს;
- საგადახდო სისტემას აქვს სოციალური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა მის მიერ განხორციელებული მომსახურების, მათ შორის გეოგრაფიული არეალის თვალსაზრისით.

საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების ეკოსისტემაში ფასების გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციული მიდგომა და ეფექტიანობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც გადამხდელების, ისე მიმღებების (მათ შორის, სავაჭრო/მომსახურების ობიექტების) ინტერესების დაცვას და ხელს უწყობენ უნაღდო გადახდების განვითარებას.

დღევანდელი მდგომარეობით, სავაჭრო/მომსახურების ობიექტების მიერ საბარათე ინსტრუმენტით მიღებული გადახდებისას გადახდილი სავაჭრო ობიექტის საკომისიო არ ექვემდებარება ზღვრულ რეგულირებას და მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ტიპის სავაჭრო/მომსახურების ობიექტების, საგადახდო სქემის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერისა და საგადახდო ინსტრუმენტის მიხედვით. ეს ქმნის არაპროგნოზირებად საფასო გარემოს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

ამასთანავე, სავაჭრო ობიექტის საკომისიოში ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ურთიერთგაცვლის საკომისიო, რომელიც განსაზღვრულია გადამხდელის პროვაიდერსა (მაგ. ბარათის ემიტენტი) და მიმღების (მაგ. სავაჭრო/მომსახურების ობიექტის) პროვაიდერებს შორის არსებული ხელშეკრულებით. ამ საკომისიოს ოდენობა, როგორც წესი, გაუმჭვირვალეა მიმღებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილებები მიზნად ისახავს:

- დაადგინოს სავაჭრო ობიექტის საკომისიოს დეფინიცია და განისაზღვროს სავაჭრო ობიექტის საკომისიოს ზედა ზღვარი თითოეული გადახდის ოპერაციის თანხიდან 0,5 % ოდენობით

იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერთათვის, რომლებიც წარმოადგენენ სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკს ან/და ასეთი კომერციული ბანკის ჯგუფში შემავალ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს;

- დაწესდეს ვალდებულება პროვაიდერებისთვის, მიაწოდონ მიმღებს დეტალური ინფორმაცია საკომისიოს, მათ შორის მისი შემადგენელი ნაწილების შესახებ;
- ეროვნულ ბანკს მიენიჭება უფლებამოსილება მონიტორინგი გაუწიოს ურთიერთგაცვლის საკომისიოს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სავაჭრო ობიექტის საკომისიოს შემცირებას თან სდევდეს ურთიერთგაცვლის საკომისიოს პროპორციული შემცირება. ამასთან, ეროვნული ბანკი უფლებამოსილი იქნება დაადგინოს ურთიერთგაცვლის საკომისიოს ზღვრები.

დამატებით ეროვნულ ბანკს მიეცემა უფლებამოსილება განსაზღვროს მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ფარგლებში გაწეული მომსახურების საკომისიოს გაანგარიშების წესი ან/და საკომისიოს, ან მისი შემადგენელი ცალკეული კომპონენტის ზედა ზღვარი. ეროვნულმა ბანკმა, აღნიშნული საკომისიოს ზედა ზღვარი ან/და მისი გაანგარიშების წესი შეიძლება დაადგინოს მათ შორის, მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურებისა და საგადახდო ინსტრუმენტის კატეგორიის მიხედვით.

გასათვალისწინებელია, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებების მსგავსი რეგულირება წარმოდგენილია დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობაში, სადაც „ფინანსური სერვისების აქტით“, საგადახდო სისტემების რეგულატორს 57-ე მუხლით[1] მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეცვალოს ნებისმიერი, ხელშეკრულებით დადგენილი საკომისიო, მათ შორის, დაადგინოს საკომისიოს ზედა ზღვარი. აღნიშნული უფლებამოსილება ვრცელდება ნებისმიერ ხელშეკრულებაზე, რომელიც გაფორმებულია

[1] ფინანსური სერვისების აქტი, 57-ე მუხლი: https://www.legislation.gov.uk/ukpga/2013/33/section/57 ;

რეგულირებული საგადახდო სისტემის ოპერატორსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს შორის, ნებისმიერ ხელშეკრულებაზე იმ საგადახდო მომსახურების მომწოდებელსა და სხვა პირს შორის, რომელსაც აქვს პირდაპირი წვდომა რეგულირებულ საგადახდო სისტემასთან, იმ მიზნით, რომ ამ პირს გაუხსნას შესაძლებლობა გახდეს საგადახდო მომსახურების მომწოდებელი, ნებისმიერ შეთანხმებაზე რომელიც ეხება გადასახადებს ან/და საკომისიოებს, რომელთა გადახდა განპირობებულია რეგულირებულ საგადახდო სისტემაში მონაწილეობიდან გამომდინარე, ან რეგულირებული საგადახდო სისტემის მიერ გაწეული სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების რეგულირებისა და ზედამხედველობის პრინციპებს, საგადახდო სისტემის მონაწილეების, საგადახდო მომსახურების განხორციელებაში ჩართული მხარეების, საგადახდო მომსახურების მომხმარებლების უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

ვინაიდან კანონპროექტის მიზანია მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მქონე საგადახდო სისტემის ფარგლებში საკომისიოს განსაზღვრისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერი სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკებისთვის საკომისიოს ზედა ზღვრების დადგენის მიმართულებით ეროვნული ბანკის უფლებამოსილებების ფარგლების დაზუსტება, ასევე საკომისიოსთან დაკავშირებული სხვადასხვა რეგულირებების შემოღება, გადახდის ინიციირების მომსახურებასთან დაკავშირებული ნორმების ცვლილება, დავის განმხილველ კომისიასთან დაკავშირებული ნორმების დახვეწა, აუცილებელია, რომ ცვლილება განხორციელდეს საქართველოს კანონში „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, დაზუსტდება ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მქონე საგადახდო სისტემის ფარგლებში საკომისიოს განსაზღვრის მიმართულებით. ეროვნულმა ბანკმა საკომისიოს ზედა ზღვარი/მისი გაანგარიშების წესი შეიძლება განსაზღვროს მათ შორის მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურებისა და საგადახდო ინსტრუმენტის კატეგორიის მიხედვით. ასევე, განისაზღვრება სავაჭრო ობიექტის საკომისიოს ცნება და განისაზღვრება საკომისიოს ზედა ზღვარი იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის რომელიც ამასთანავე წარმოადგენს სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკს/ამ ბანკის ჯგუფში შემავალ სუბიექტს, გაჩნდება ამ საკომისიოს რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები, დაიხვეწება დავების განმხილველი კომისიის მარეგულირებელი ნორმები, გადახდის ინიციირების მომსახურების განხორციელებისას, გადამხდელისა და მომსახურების პროვაიდერისთვის ხელმისაწვდომი გახდება გადახდის ინიციირებისთვის აუცილებელი ინფორმაცია, აღნიშნული ცვლილებების შედეგად მივიღებთ მეტად დახვეწილ საკანონმდებლო ბაზას, რომელიც იცავს მომხმარებლების უფლებებს და უზრუნველყოფს კონკურენციას.

სავალდებულო არადისკრიმინაციული „სმარტ-რაუტინგის“ ჩარჩოს შემოღება ხელს შეუწყობს ვაჭრობის განხორციელებისას ხარჯების შემცირებას, დაიცავს კონკურენციას ადგილობრივ საგადახდო სქემებს შორის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტით ხორციელდება რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება:

- ცვლილება ხორციელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში და ჩნდება ორი ახალი ცნება და მისი განმარტებები:

სავაჭრო ობიექტის საკომისიო და სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკი;

- ცვლილება ხორციელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტსა და 42-ე მუხლის მე-2 პუნქტში და ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება, განსაზღვროს მნიშვნელოვანი საგადახდო სისტემის ფარგლებში გაწეული მომსახურების საკომისიოს გაანგარიშების წესი ან/და განსაზღვროს საკომისიოს (მათ შორის საკომისიოს შემადგენელი ცალკეული კომპონენტების) ზედა ზღვარი, მათ შორის მომხმარებლისთვის გაწეული მომსახურებისა და საგადახდო ინსტრუმენტის კატეგორიის მიხედვით;
- ცვლილება ხორციელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 5^1 მუხლში და გადახდის ოპერაციის განხორციელებისას, საგადახდო სისტემა ვალდებული იქნება თანაბარი საკომისიო/სხვა პირობები განსაზღვროს ნებისმიერი საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის;
- ცვლილება ხორციელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20^1 მუხლში და საგადახდო მომსახურების პროვაიდერს აეკრძალება, მიმღებს შეუზღუდოს უფლება გადამხდელს გაუსაჯაროოს ინფორმაცია მათ შორის სავაჭრო ობიექტის საკომისიოს შესახებ;
- ცვლილება ხორციელდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 22^2 მუხლის მე-4 პუნქტში და ნორმის ერთგვაროვანი ინტერპრეტირების მიზნით, ზუსტდება ანგარიშის მომსახურე საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვალდებულება გადახდის ოპერაციის ინიციირებისას გადამხდელს და გადახდის ინიციირების მომსახურების პროვაიდერს მიაწოდოს - შესაბამისი საგადახდო ანგარიშის ნომრის, ნაშთის, ვალუტის შესახებ ინფორმაცია და გადახდის ინიციირებისათვის აუცილებელი სხვა ინფორმაცია იმგვარად, რომ მომხმარებელმა

გადახდის ინიციირების მომსახურება მიიღოს დაბრკოლების გარეშე. აღნიშნული წესი „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონისა და „კომუნიკაციის ერთიანი და უსაფრთხო ღია სტანდარტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 24 ოქტომბრის №145/04 ბრძანებიდან ისედაც გამომდინარეობდა, ამასვე განმარტავს Euro Retail Payments Board (ERPB) გადახდის ინიციირების მომსახურების თაობაზე თავის შემაჯამებელ ანგარიშში, თუმცა მიზანშეწონილად ჩაითვალა ამ საკითხის დაზუსტება კანონში;[2]

- „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონს ემატება 34[2] მუხლი, რომლის თანახმადაც, სავაჭრო ობიექტის საკომისიოს ზედა ზღვარი, იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერთათვის, რომლებიც წარმოადგენენ სისტემურ კომერციულ ბანკებს ან/და ასეთი ბანკის ჯგუფში შემავალ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს განისაზღვრა 0.5 %-ით;
- ამავე მუხლით ეროვნულ ბანკს ენიჭება უფლებამოსილება მუდმივი მონიტორინგი გაუწიოს ურთიერთგაცვლის საკომისიოებს და საჭიროების შემთხვევაში დაადგინოს ზღვრები ურთიერთგაცვლის საკომისიოზე;
- „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 41[1] მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ მომხმარებლის საჩივრის განხილვის და გადაწყვეტის ვადა შეადგენს 15 სამუშაო დღეს, რომელიც შესაძლებელია 35 სამუშაო დღემდე გახანგრძლივდეს. 2025 წლის 1 იანვრამდე მოქმედებდა კანონის გარდამავალი დებულება, რომლის მიხედვითაც გარდამავალ პერიოდში აღნიშნული ვადების ნაცვლად განსაზღვრული იყო შესაბამისად არაუმეტეს 20 და 55 სამუშაო

[2] ევროპის ცენტრალური ბანკი. 2018. *გადახდების ინიციაციის სერვისების (PIS) შესახებ სამუშაო ჯგუფის ანგარიში*, გვ. 10–11.https://www.ecb.europa.eu/paym/groups/erpb/shared/pdf/8th-ERPB-meeting/PIS_working_group_report.pdf.

დღე. პრაქტიკამ აჩვენა, რომ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს, გარკვეულ შემთხვევებში, ჯერ კიდევ სჭირდებათ დამატებით ვადა, რათა მოიკვლიონ საჩივართან დაკავშირებული სათანადო ინფორმაცია და მტკიცებულებები.

აქედან გამომდინარე, დამაზუსტებელი ცვლილებები ხორციელდება მოქმედ მუხლსა და დამატებით კანონის პროექტის გარდამავალი დებულებებით. შესაბამისად პროვაიდერის მიერ საჩივრის განხილვის ვადად 2028 წლის 1 იანვრამდე განისაზღვრება 20 და 55 სამუშაო დღე;

) დავების განმხილველ კომისიასთან დაკავშირებით ხორციელდება რამდენიმე ცვლილება:

ა) იცვლება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 41^2 მუხლის პირველი პუნქტი და დავების განმხილველი კომისია განიხილავს საგადახდო მომსახურების მომხმარებლების დავას, თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 100 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 100 000 ლარის ეკვივალენტს, ნაცვლად მოქმედი 50 000 ლარისა. პრაქტიკამ აჩვენა, რიგ შემთხვევაში კომისიისთვის წარდგენილი საჩივრით განსაზღვრული დავის საგანი აღემატება კანონით დადგენილ ღირებულებას, რა შემთხვევაშიც კომისია ვალდებულია საჩივარი წარმოებაში არ მიიღოს, ან ალტერნატიულად მომხმარებელი უფლებამოსილია შეამციროს მოთხოვნის მოცულობა.

ბ) ცვლილება ეხება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 41^4 მუხლის მე-7 პუნქტს და განისაზღვრა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ასევე ანაზღაურდება დავების განმხილველი კომისიის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევის საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მსგავსად საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებისთვის მოქმედი პირობებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თანადაფინანსების მოცულობისა.

გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოქვეყნდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში“. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2023 წლის 26 ივლისის №2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული დავების განმხილველი კომისიის საქმიანობის წესის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თუ კომისიის კორესპონდენციისა და გადაწყვეტილებების ჩაბარება ადრესატისთვის ვერ ხერხდება მატერიალურად (ფოსტით) ან ელექტრონულად გაგზავნის შემთხვევაში, კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მისი/მათი საჯაროდ გავრცელების შესახებ, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებით, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითებით და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის პრინციპის გათვალისწინებით. საჯარო შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი საჯაროდ გავრცელებიდან მე-15 სამუშაო დღეს“. მიზანშეწონილია აღნიშნული უფლებამოსილება განისაზღვროს საკანონმდებლო დონეზეც. ამ მიზნით ცვლილება შედის „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 41^9 მუხლის მე-7 პუნქტში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი, გარდა ცალკეული დებულებებისა ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე და არ ითვალისწინებს უკუძალის მინიჭებას.

კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული, კანონის მე-5[1] მუხლის მე-5[1] პუნქტი ამოქმედდება 2026 წლის 1 აპრილიდან, რათა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს მიეცეთ დამატებითი დრო ცვლილებებთან ადაპტირებისთვის.

კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის 34[2] მუხლი ამოქმედდება 2026 წლის პირველი იანვრიდან, ვინაიდან წარმოდგენილი მუხლით დგინდება სავაჭრო ობიექტის საკომისიოს ზედა ზღვარი, რასაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საგადახდო მომსახურების იმ პროვაიდერზე, რომელიც წარმოადგენს სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკს ან სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკის ჯგუფში შემავალ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს, სასურველია, რომ მათ მიეცეთ დრო ცვლილებების ამოქმედებამდე საკუთარი საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

მოთხოვნილი არ არის კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი). მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს აუცილებელი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს გავლენა არ ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტს გავლენა არ ექნება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი მოსალოდნელია რომ გავლენას მოახდენს შემდეგ პირთა ჯგუფზე:

იმ სუბიექტებზე, რომლებიც არიან მნიშვნელოვანი სისტემის სტატუსის მქონე საგადახდო სისტემის ფარგლებში გაწეული საგადახდო მომსახურების მხარეები. გავლენის ზომის განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია, ის დამოკიდებულია კონკრეტული სუბიექტი რა საკომისიოს განსაზღვრავს ამ ზედა ზღვრის ფარგლებში.

იმ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზე, რომლებიც წარმოადგენენ სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკებს, ან ასეთი ბანკის საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზე, ან სავაჭრო ობიექტებზე, ვინაიდან მათთვის განისაზღვრა სავაჭრო ობიექტის

საკომისიოს ზედა ზღვარი. გავლენის ზომის წინასწარი შეფასება შეუძლებელია.

გარდა ამისა, ვინაიდან დავების განმხილველი კომისიისთვის დასაშვებობის ზღვარი შეიცვალა და დავის საგნის ღირებულების 50 000 ლარიდან 100 000 ლარამდე გაიზარდა, გაიზრდება იმ პირთა რაოდენობაც ვისაც შეეძლება დავა სასამართლო სისტემის ნაცვლად აწარმოოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მომხმარებელთათვის შემცირდება სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯები. გავლენის ზომა დამოკიდებულია დავების რაოდენობასა და დავის საგნის ღირებულებაზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიჟინაძე, ირაკლი ხელაძე, რამინა ბერაძე, ბეჟან წაქაძე, ლევან მაჭავარიანი, ილია ინჯია, დავით კოდუა, გიორგი ბარვენაშვილი, თორნიკე ფაღავა, იოსებ ჯორბენაძე, აკაკი ალადაშვილი, მარიამ ლაშხი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიჟინაძე, ირაკლი ხელაძე, რამინა ბერაძე, ბეჟან წაქაძე, ლევან მაჭავარიანი, ილია ინჯია, დავით კოდუა, გიორგი ბარვენაშვილი, თორნიკე ფაღავა, იოსებ ჯორბენაძე, აკაკი ალადაშვილი, მარიამ ლაშხი.